



სახელი, გვარი
 მუნიციპალიტეტი
 თარიღი

**„მუნიციპალური ქონების მართვის ეკონომიკური საფუძვლები“
 ტესტი**

სწორია მხოლოდ ერთი პასუხი!

1. არაწარმოებულ საწარმოო ფაქტორს წარმოადგენს:
 - ა) მიწა
 - ბ) მანქანა-დანადგარი
 - გ) შენობა-ნაგებობა
2. თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში საწარმოო ფაქტორების ძირითად მესაკუთრეს წარმოადგენს:
 - ა) სახელმწიფო
 - ბ) თვითმმართველობა
 - გ) კერძო სექტორი
3. მუნიციპალიტეტის ძირითადი ქონების გასხვისება:
 - ა) დასაშვებია ნებისმიერ შემთხვევაში
 - ბ) დასაშვებია საქართველოს მთავრობის ნებართვით
 - გ) დასაშვებია საკრებულოს 2/3-ის თანხმობით, თუ ქონებამ დაკარგა ფუნქციური დანიშნულება
4. ქონების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შენობა-ნაგებობა წარმოადგენს:
 - ა) შემოსავალს
 - ბ) ვალდებულებას
 - გ) არაფინანსურ აქტივს
5. კანონით თვითმმართველობისთვის მიკუთვნებული ქონებაა:
 - ა) ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო მიწა
 - ბ) ადგილობრივი მნიშვნელობის გზა
 - გ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა
6. სახელმწიფო ქონების მუნიციპალიტეტისთვის ძირითადი ქონების სახით გადაცემის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს
 - ა) საქართველოს მთავრობა
 - ბ) ეკონომიკის სამინისტრო
 - გ) საქართველოს პრეზიდენტი
7. ქონების დანახარჯების მიხედვით შეფასების მეთოდი ითვალისწინებს:
 - ა) ქონების ბაზარზე არსებულ გასაყიდ ფასს
 - ბ) მუნიციპალიტეტის მიერ ნორმატიული აქტით დადგენილ ფასს
 - გ) ანალოგიური უძრავი ქონების თანამედროვე პირობებში შექმნის ღირებულებას

8. ქონების შემოსავლიანობის მიხედვით შეფასების მეთოდი ითვალისწინებს:
- ა) ქონების შესყიდვის ღირებულებას
 - ბ) მომავალი შემოსავლების მიმდინარე ღირებულების დადგენას პირდაპირი კაპიტალიზაციით
 - გ) ქონების შექმნისთვის საჭირო ხარჯების აღრიცხვის მეთოდს
9. ქონების საბაზრო ღირებულების დადგენა ითვალისწინებს:
- ა) ბაზარზე არსებული ანალოგიური შეთავაზებების ანალიზს
 - ბ) ქონების შექმნის კაპიტალურ დანახარჯებს
 - გ) ქონების მომავალი შემოსავლების მიმდინარე ღირებულების დადგენას
10. მუნიციპალური ქონების შეფასების დროს აუდიტორული კომპანია იყენებს:
- ა) შემოსავლიანობის მიხედვით შეფასების მეთოდს
 - ბ) დანახარჯების მიხედვით შეფასების მეთოდს
 - გ) საბაზრო ღირებულების დადგენის მეთოდს
11. მუნიციპალური ქონების სარგებლობის უფლებით გაცემის ფორმაა :
- ა) გარუქება
 - ბ) აღნაგობა
 - გ) გაყიდვა
12. მუნიციპალური ქონების არასამთავრობო ორგანიზაციაზე უსასყიდლოდ გაცემის მაქსიმალური ვადაა:
- ა) 2 წელი
 - ბ) 4 წელი
 - გ) 3 წელი
13. უფასო სარგებლობის უფლებით, უვადოდ მუნიციპალური ქონება საკრებულოს თანხმობით გადაეცემა:
- ა) კერძო სამეწარმეო სუბიექტს
 - ბ) სახელმწიფო ორგანოებს
 - გ) კერძო არასამეწარმეო სუბიექტს
14. საჯარო ქონების განკარგვის ყველაზე გამჭვირვალე და კონკურენციის ხელშემწყობი ფორმაა:
- ა) საჯარო აუქციონი
 - ბ) პირდაპირი განკარგვა
 - გ) ელექტრონული აუქციონი
15. კახეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის რეალიზაციიდან ადგილობრივ ბიუჯეტში ირიცხება :
- ა) თანხის 35 პროცენტი
 - ბ) თანხის 50 პროცენტი
 - გ) თანხის 60 პროცენტი
16. იმერეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის რეალიზაციიდან ადგილობრივ ბიუჯეტში ირიცხება :
- ა) თანხის 65 პროცენტი
 - ბ) თანხის 50 პროცენტი
 - გ) თანხის 35 პროცენტი
17. მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით გაიტარება დასაშვებია:
- ა) მუნიციპალიტეტის მერის მიერ საკრებულოს თანხმობის გარეშე

ბ) მუნიციპალიტეტის მერის მიერ საკრებულოს თავმჯდომარის თანხმობით

გ) მუნიციპალიტეტის მერის მიერ საკრებულოს თანხმობით

18. ელექტრონული აუქციონის ჩატარების მინიმალური ვადაა:

ა) 10 დღე

ბ) 15 დღე

გ) 5 დღე

19. მიწის აღნაგობის უფლებით გაცემის დროს ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებს უფლება აქვს:

ა) გაყიდოს აღნაგობით აღებული მიწა

ბ) ააშენოს შენობა ნაგებობა აღნაგობით აღებულ მიწაზე

გ) გააერთიანოს აღნაგობის მიწა მის საკუთრებაში არსებულ სხვა მიწასთან

20. ქონების პრივატიზების დროს საინვესტიციო ვალდებულება ითვალისწინებს:

ა) ქონების ფუნქციის შენარჩუნებას 7 წლის ვადით

ბ) მუნიციპალიტეტისთვის თანხის გადახდის ნაცვლად ძირითადი საშუალებების შექმნას

გ) შესყიდულ ქონებაზე კაპიტალური დანახარჯების განხორციელებას

მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის!